

ლიტერატურული გაზეთი

№24 (136) 26 დეკემბერი 2014 - 15 იანვარი 2015

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

ბესიკ სარანაული

სამი სიმღერა

საზაფხულო და ავტომანები...

იმდენი გოგო მიყვარდა,
ვერ გავისწერებ სიასა,
სადაც მე დავიმარხები,
ნეტა იმ ეკლესიასა!
არავის გავეყრებოდი,
თუ შეძლებოდა მეასა,
სუყველას დავიტოვებდი,
თეთრ-უყითელ-შავტაკიანსა,
მაგრამ რა ვუყოთ, ცხოვრება
ფრთებს აცლის ჩიტასა ბნელიანსა,
სუყველამ წლები წამართვა,
რა შესწევს ადამიანსა,
ერთი დღეც არ დაუტოვეს
პატარა გოგო ნიასა,
რომელსაც მე ვურჩევნივარ
თუთას, ბალსა და ქლიავსა...
სადაც მე დავიმარხები,
ნეტა იმ ეკლესიასა.

დაბეჭდული დანაზრითა

ჭალა-ჭალა დავდიოდი,
განრინება მსურდა ჭირთა,
ბალჩაშია გადვიხედე,
შეილი მამას ყელსა ჭრიდა.
ყიფი-ყიფი, ყიფი-ყიფი,
დანა ჩაებლუჯა ჩვრითა,
დამინახეს, გამირისხდნენ,
სით მოხველო, რომელ ბჭითა,
ჩვენ ასეთი წესი მოგვდგამს,
დაბეჭდული დანაჭრითა.

სიგარის ეპიფანია

ქალზე და ლექსზე ვფიქრობდი,
თაც თავი მახსოვს ბაგშვობით,
სასმელსაც ვეტანებოდი,
ვიყავი ჭიქის დამშრობი,
აჯილდა ცხენს რო ეპინა,
არ ვიყავ ხელის გამშობი,
ქალს ფანჯრით შევუძვრებოდი,
თუ იყო კარის დამშობი...
ან სიბერე მჭირს, წავიდა
დრო ჩემი ხმალ-ქარქაშობის,
ჩავადები საკარცხულშია,
თავს დავიმდიმებ მახშვობით,
გარს შემოვიჯრი ქალებსა,
ვპოვე ვინ, ვინმეს გავშორდი,
ვიცინებ, ვიმსიარულებ,
მოვკვდები ამ თამაშობით.

ბათუ დანელია

შენ — არა!

შენ — არა! შენს ბალდურ ღიმილს და საუბარს,
შენს წარბებს, ღმერთს რომ ორ
სტრიქონად გაუბამს,
შენს, ჩემგან უკოცნელ, ტუჩებს და მაღალ ყელს,
რაც დღემდე მიზიდავს
და ზღვისებრ მაყალყებს...
შენ — არა! შენს თმებს და ყურებს და
ყვრიმალებს,
შენს თვალებს, წყენა რომ ცრემლივით მიმალეს,
შენს ციცქა ცხვირსახოცს,
მის ნაცნობ ნესტორებს,
შენს სუნთქვას, რომელიც ჰაერში მზეს ტოვებს...

ზალ სამადაშვილი

კლარა ეპიმი

ძველი ჩანაწერების თვალიერებისას ასეთ
სტრიქონებს ვაწყდები:
„კვირა საღამოა, გვიანი შემოდგომა...
თბილისში დილაადრიან, ან წინადლით ჩამოსული
კაცები და ქალები მატარებლით ბრუნდებიან თავთა-
ვიანთ სოფლებში. ეგრეთ წოდებული „საერთოთა“
მგზავრობენ; ასეთ ვაგონებში ბილეთი ყველაზე იაფი
ლირს. ოთხადგილიანი, ერთმანეთის პირისპირ
ჩადგმული სკამძელების ორი გრძელი რიგი სულ
სავსეა. რიგებს შორის დატოვებულ ვინწრო გასასვ-
ლელში გვერდებდა კბილული ნამცხვრების — „კორ-
უკების“ გამყიდველები, ხელისგულებზე ბედის
ამომცნობი ბორბა ქალები, ვაგონ-ვაგონ ატორლიალე-
ბული ნასვამი ბიჭები და ლურჯფორმიანი გამცილე-
ბლები მიდი-მოდიან. დაგუდულად ისმის რელსებზე
მოძრავი რეკრის ბორბლების მონოტონური ხმაური
და დუდუნი, რომელიც გამოწვეულია ათეულობით
ადამიანს შორის გაბმული საუბრით. ზოგი შეკითხვას

„ნივიუს“ ცუდს, ანუ — შენს ლამაზ შეცდომას...
და კაფეს, ქცეულს ჩვენს

ერთადერთ რესტორნად...

იმ წელმარა მოგვცა! რას მოგვცემს ეს წელი!

შენ ჩემი გაგება ვერაფრით შესძლი...

ამიტომ შენ — არა! შენს მუხლებს, იდაყვებს,

შენს კდემას, ხსოვნაში სევდას რომ მითაღებს...

შენს მზერას, რომლისებრ კვესიც კი

ვერ კვესავს,

შენს შუბლსაც, კეფასაც, წვივეპსაც, ტერთებსაც

და, ჩემგან უხილავ, შენს „ოქრო-ბრილიანტის“,

რაც მოლზე ნაზი და სიობოზე თბილია...

შენ — არა! შენს დაბალ ხმასა და მაღალ წელს,

გრძელ ფეხებს, წვრილ თითებს —

ვულოცავ ახალ წელს!

IV-V

სვამის, ზოგი პასუხობს, ზოგი შთაბეჭდილებას აღწერს, ზოგი ქაქნებს, ზოგი კიდევ ჰყვება. მთხორბელთა შორის არის მხრებზე შალშემოხვეული, შინდის-ფერბერეტიანი ქალი, რომელსაც, თანამგზავრების მსგავსად, ბარგი უდევს ფეხებთან — ხელოვნური ტყავის მოზრდილი, ალაგ-ალაგ დამსკდარი ჩანთა. ორმოცი წლისა იქნება, შესაძლოა, მეტისაც; დატალ-ლული თმა მოკლედ, კეფის გასწვრივ აქვს შეჭრილი. ლაპარაკის დროს თხელ, პომადით შეფერადებულ ტუჩებთან ერთად ლამაზად გახაზული წარბებიც უმოძრავებს. მათი ანევ-დანევის დროს შუბლი წვრილი ზოლებით ეფარება; თუმცა, მისი დიდი, თაფლისფერ თვალებიდან წამოსული შუქის გამო — ეს ასაკობრივ ხაოჭებად არ აღიქმება...
ძველ ამბავს ჰყვება, მთლად ძველისძველს არა, შვიდი-რგა წლის წინანდელს. ამბავი იმ საუბრის გამოძახილი უნდა იყოს, მატარებლის დაძვრისთანავე რომ წამოწყებს მასთან ერთად მსხდომმა ქალებმა. იმ სალამოს იხსენებს, ქმართან ერთად სპექტაკლს რომ დაესწრო „კულტურის სახლში“...

VIII





ფუნქ-ლეგენდადაც კი გამოადგებოდათ, მითოსურ დასაყრდენად, ამიტომ სექსუ-ალური რევოლუციისა და ფემინისტური მოძრაობის გააქტიურების ფონზე „ლოლ-იტასა“ და „ულისეს“ მსგავსი რომანები, რომელთა პერსონაჟების წინასახელებად ნიმუშები და მითიური ქალღმერთ-ურჩხ-ულები გვევლინებიან, წესითა და რიგით, ახალი დროების ლიტერატორთათვის ფასდაუდებელ თხზულებებად უნდა ქცეულიყვნენ.

მოჯადოებული მონაცირე

ლოლიტას რამდენიმე პროტოტიპი ჰყავს: ლიტერატურული (ანაბელ ლი), მითოსური (ლილითი, დიანა)... სიუჟეტიც რამდენიმე ჰქანში ვითარდება და ხანძახან, ავტორის თქმისა არ იყოს, წარმოსახვით სივრცეში მოქმედი გმირები უფრო ნამდვილები არიან, ვიდრე ყოფითში. როგორ გვიგოთ ეს? ამ საკითხს რომ ჩაუღულმავდეთ, კვლავ უნდა დავსვათ ასეთი შეკითხვა: ვინ არის ლოლიტა? არის კი ეს გოგონა, ჩვეულებრივი ბავშვი? თუკი ნაბიკოვს ვერწმუნებით, ჰუმბერტის რჩეული ჩვეულებრივი ბავშვი არაა. „ჩემს თოთოეულ, ნეტარებისგან თითქოს გაპირობენ ერვს ჯერ კიდევ მჭიდროდ შემოტმასნოდა ლოლიტას სხეულის შეგრძნება. ეს იყო სხეული უკვდავი დემონისა, რომელიც პატარა გოგონას სახით მომევლინა“, ვკითხულობთ რომანში, რომელშიც თითქმის შეუძლებელია ვიპოვოთ პასაჟი, სადაც ლოლიტას ბავშვს უნდოდებენ, ის ჰუმბერტისთვის ხან ნიმფეტია, ხან ფანუსი, ხან კი დემონი. „მშვენიერ დემონურ ბავშვს კანონი ბეჭის ანაბარად ტოვებს“, სინანულით ალნიშნავს ნაბოკოვის ლიტერატურული გმირი. მწერალს თითქოს რაღაც ახალი ესთეტიკა შემოაქვს, თუკი დანტე ალეგირისთვის ბეატრიჩე მშვენიერი დვთაებრივი ქმნილებაა, ნაბოკოვის პერსონაჟისთვის ლოლიტა პატარა დემონია, რომელიც თურმე უფრო მშვენიერდება კიდეც, როდესაც ერთიანად ასხივებს „კაშპაშა ჯოჯოხეთურ შუქს“. და აი, მონა-დიორე (რომელსაც ლოლიტას გაცნობამდეც ჩვეულებრივი ბავშვების პრბოში მდგომი პანაზინა მომაკვდინებელი დემონებისკენ მიუწვდომა გული, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით ამყარებდა ნორმალურ სქესობრივ კავშირს ჩვეულებრივ „მიწიერ ქალებთან“, შინაგანად კი ყოველთვის ჯოჯოხეთურ ღუმელში იწვოდა „შემხვედრი ნიმფეტების გამო“) ლოლიტათი იხიბლება...

„მოჯადოებული მონადირების“ თემის
შემოტანით მწერალი თავის ლიტერატუ-
რულ გმირს უკვე ქალღმერთ დიანასთან
აიგვებს. სიმბოლურია, რომ სწორედ ეს
სახელი ქვია სასტუმროს, სადაც ლოლ-
იტას მშობლებს უყვარდათ გაჩერება, ამავე
სასტუმროში ატარებენ პირველ ღამეს ჰუმ-
ბერტ ჰუმბერტი და მისი რჩეული, „მოჯა-
დოებული მონადირები“ ქვია იმ პიესასაც,
ლოლიტას გამტაცებელი კუილტი რომ
ნერდა სასტუმროში, სადაც შენიშნა უცნ-
აური წყვილი. არც ისაა შემთხვევითი, რომ
მოგვიანებით სწორედ ამ სპექტაკლში უნდა
ეთამაშა ლოლიტას დიანას როლი. ამ-
რიგად, მწერალი ყველა მის ხელთ არსე-
ბული სიმბოლოთი თუ მხატვრული ხერხ-
ით ცდილობს, მიგვანიშნოს, რომ მსხვერ-
პლი თავად მონადირეა და არა ლოლიტა,
რომელსაც თორმეტი წლის ასაქში, თავის
მამობილთან დაახლოებამდე, უკვე ჰქონ-
და ლესბიანური და ჰეტეროსექსუალური
ცხოვრების გამოცდილება.

ରା ଦେଇବା ହିନ୍ଦୀ ଶୈମଦ୍ଭଗବତମି ମୋଜାଦ୍ଵୀପ-
ଦୂଷଳ ମନ୍ଦବାଦିର୍ଗ୍ରେ? ତା ଲୋଲିତିସ ମିଟିଲେଶ୍ୱର
କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ର ଗାୟପ୍ରେବିତ, ଅଦାମମା ମିନ୍ଦିଶାଙ୍କା ଶୈମଦ୍-
ବୀଲୋ କ୍ଷାଲୀ ଶୁନ୍ଦା ଦାକ୍ଷାରଗଲେ, ଲୋଲିତି ଶୈ-
ମାଙ୍କୁ ସାଧ୍ୟଗର୍ବେଲୀ ଶୁନ୍ଦା ଗାବେଦ୍ୟେସ. ଆସୁଚ ବେଦ-
ଦା. ବୀନ ବିତାପ୍ରେବଳୀ ଲୋଲିତିବା? ଉତ୍ତରର
ଶେଷରେତ୍ତ, ବୀନ ମିତ୍ତପ୍ରେବଳୀ ଲୋଲିତିବାରି ନେବିତ?
ରମାନଥି ଶୈମାଙ୍କୁ ପ୍ରମାଣିତ କୁଣ୍ଡଳତି ଆ-
ର୍ଯୁଲେଖବୁଦ୍ଧି, „ବ୍ରନ୍ଦେବିଶାବନ ଅତରତମଲେଶୁଲୀ ଦା
ତ୍ରିମରମାଶୈମଦ୍ବ୍ୟଲୀଲୀ ନୀତେଲୀ ବିରଦ୍ଧିଲୀ“,
ରମେଶ୍ଵର, „ପାକିତ“ ମିଲିଦ୍ୱେତ. ମାଲ୍ଲ ମଦ୍ଦବାରି
ଶୈମଦ୍ବ୍ୟର୍ଗମା ଶୁଭତର ଅଳ୍ପରଦାନାବୁ ଫାନ୍ଦାଶା. ଲୋ
ପ୍ରମାଣିତ, „ମନ୍ଦବାଦେଶ୍ଵରାନ୍ତି, ମେଲାନ୍ତି, ହିଲୋଶତ୍ତେର
ଶେଷରେତ୍ତ ବୀଜାକୁଶା ଦା ଯାତ୍ରିଶେଷର ଶାର୍ଵଵାଲ୍ଲ-
ଶି ଗାମନ୍ଧ୍ୟବୀଳିନୀ ମାମାକାତ୍ମି“, ରମେଶ୍ଵରିତ
ଲୋଲିତିବା ଏଲାକାରାକ୍ଷେପନାଦା ଦା ରାଲାତ୍ରିତ
ଶୈମଦ୍ବ୍ୟର୍ଗ ଶୈମଦ୍ବ୍ୟକ୍ରିୟିକ ଶ୍ଵେତିକାରିଏଲ ବିଦ୍ୟାଶ-
ବୀଲିଶାତ୍ କି ନୀତାଗବ୍ରଦା, ଗୁରୁତ୍ବାତ୍ ତ୍ରିରାତ୍,
ମର୍ଗବାଲୀ ଶେଷରେତ୍ତିକାରିଏଲ ଦା ମନ୍ଦଗ୍ରେଦ
ଶୈମଦ୍ବ୍ୟକ୍ରିୟିକ ଶାଵି ଉଲ୍ଲଙ୍ଘାଶେବିତ. ଶୈମଦ୍ବ୍ୟକ୍ରିୟିକ



ფიქრში ჩაეძინა. ძილში გამოეცხადა ცეცხლოვანი ნისლით გარემოცული უცნაური არსება, რომელსაც მენამულ მოსასამში გახვეული მძინარე ბერეტიჩ ეჭირა ხელში. ნისლოვანმა არსებამ ქაღლი გააღვიძია და აიძულა, ეჭამა ის, რაც ხელისგულზე ედო. ეს იყო პოეტის ალმოდებული გული. მოგვიანებით ალიგიერი ამ ხილვას თავის სონეტში La Vita Nuova უკვდაცყოფს, ბერეტიჩ რიჩეს კი — „ღვთაებრივ კომედიაში“.

იტალიელი პოეტის ძუხა ლოლიტას განსხვავებით დემონური არსება არ ყოფილა, რადგან ის ხელში არა ეშმაქს, არამედ ღმერთს ეჭირა. ყოველ შემთხვევაში დანტეს ასე მიაჩნდა, რადგან სიზმარში ნანახმა ცეკცლოვანი ნისლით გარშემორტყმულმა არსებამ ამცნო, რომ ის იყო უფალი ღმერთი. გარდა ამისა, დანტე ბეატრიჩეში მხსნელს ხედავდა და არა მაც-დუნებელს (დიანა-ლოლიტას ვით). გოგონა მისთვის იყო ღვთის საჩქარი, რომელსაც უკეთეს ადამიანად უნდა ექცია. საგულისხმოა, რომ დანტე „წარმოსახვის დიალი ქალაბტონი“ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა — 1290 წელს — 24 წლის ასაკში ედგარ პოლ ვირჯინიას მსგავსად. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ დაჭირდა ნაბოკოვს ლოლიტას ბეატრიჩესთან შედარება, ნუთუ ის ვერ ამჩნევდა განსხვავებას ღვთაებრივ და მანი-აკალურ სიყვარულს შორის?

ଓର୍ବାଳାନିତ
ଶର୍ମିଷ୍ଠିଲାନନ୍ଦାନୀ ସାହୁରେ
୩୩।

XX საუკუნის 60-70-იანი ხლებიდან დაიწყო სრულიად ახალი — „ცოდვის ლეგალურიადისა და ცნებებით უონგლიორობის ეპოქა“. ამ ისტორიული ერის არსს რომ ჩავწერდეთ, უნდა გავიხსენოთ თუ რა პროცესები მიმდინარეობდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში. დავინუოთ იურისპრუდენციით, რადგან ფასეულობათა ცვლის პროცესი სწორედ თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ კანონმდებლობებში აისახა კველაზე მკვეთრად. მართლაც, ვინ წარმოიდგენდა მეოცე საუკუნის თუნდაც 80-იან წლებში, რომ ერთსქესიანები იქორნინებდნენ? ჰომოსექსუალიზმი ბრიტანეთში 1967 წლამდე სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა და ჯერ კიდევ ძალაში იყო Criminal Law Amendment Act 1885, რომლის მეთერთმეტე მუხლითაც მიუსაჯეს თავის დროზე ოსკარ უაილდს ორი წლით პატირობა.

ილით თაგოიორია...
დიახ, მსოფლიო ძალზე სწრაფად შე-
იცვალა. დიდი დრო არ გასულა მას შემ-
დეგ, რაც უაილდს სასამართლო პრო-
ცესზე მოთხოვეს განემარტა მისი ახალ-
გაზრდა მეგობრის, პოეტ ელფრიდ დაგ-
ლასის, სიტყვები საკუთარი ლექსიდან —
„მე ის სიყვარული ვარ, თავის გამხელას
რომ ვერ ბედაგას“ დღეს ეგრეთ წოდებული
„აკრძალული სიყვარული“, რომლის
გამოც მწერალი დააპატიმრეს, არათუ
საკუთარი თავის გამხელას ბედავს,
არამედ ლეგალურიც კი ხდება მსოფლიოს
ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში.
არადა, ოცდაათიოდე წლის წინ ადამიანი
შეიძლება სამსახურიდანაც დაეთხოვათ
არატრადიციული სექსუალური ორიენტ-
აციის გამო, დღეს კი, პირიქით,

უმუშევრად მას დატოვებენ, ვინც გეებსა და ლესბიანელებს შეავინორვებს, რადგან მათზე რაიმე მინიმების გაკეთება, ფაქტობრივად, ფაშიზმთან არის გაიგივებული. გლობალისტები თვით ცოცხალ ლეგენდებსაც კი არ ერიდებიან. ამას წინათ CNN-ის ეთერში საჯაროდ მოიხადა ბოდიში ლენონის ქვრივმა, იოკომ, რომელსაც თავისი ფანების ვიწრო წრეში უთქვაშს: „თუუკი ჩვენ მღვდლებს ვაიძულებთ, გეებს ჯვარი დანერონ, მაშინ, ალბათ, ქრისტეს მეორედ მოსვლასაც მალე ვიხილავთ...“ განაჩენმაც არ დააყოვნა, ცნობილმა უურნალისტმა, პირს მორგანმა, მას ჰომოფობიაში დასდო ბრალი და ლენონის დარცხვენილმა ქვრივმაც ბოდიში მოიხადა...

ສງເລືອ, ສາງູງບູນເບດີສ ມານດີລໍ່ຫຼຸ ແລະ ດັກງຈ-
ນິລືລີ ມົມຮາລຸງຮົງ ນົກຮມເບດີສ ສ່ວນໄວລືລີສ
ກ້າວລ້າລົງບູນຮົງແດ ມີມຳດີນຳນາຮົງເກີສ ອັບຕາລື
ທີ່ເກີມີນຶກເບດີສ ແລະ ດັກງວິໂຄຣ໌ເບດີ, ຮົນມີເລືດຕາໃ
ປູນຮົງ ໄສ ສ່ວນທີ່ວີາ, ວິເຮັງ ຂີ ຂວະແວດີກີຕ, ຮົນມ
ເບີນຮາແດ ຮັດລາໃຜ ແລັດ ສ່ວນສາບ້າມອົກສາຕານ
ດວກເຂົວສ ສາຂົມ່ງ. ມີກະລຸນາຕາແ, ຮັ ລົກສ ຕັດຕະ-
ຫຼື ລືລີາ? „ວິໄລຍງ່າ“ ດັກຮົນບູນລັດ ລວຕາເບດີໂ
ສິຍົງວາຮົງລືລ ບືນທົນກັບສ. ເຊ ສິຕຸງງາສ ສາບ້າຮົງເບ-
ດີ ກາມຕົງຢູ່ນຶກບູນລືລ ອາ ອົານົງ ລວຕາໂສ-
ມີເຖິງຢູ່ລືລ ສັດມີມ ມັນຕົກວຽກໂຮກ ສ ກາມມົນຮົງເງູ້ລື
ສິຍົງວາຮົງລືລ ສ ລັບສານີທົນນາວັດ. ຃ັງເຊົາ ດັກ-
ມືມຳດີນຳນົກ ແລະ ດັກງວິໂຄຣ໌ເບດີ ອາມາທີ່ຮົງເບດີ
ດວກຢູ່ນີລືລ ແລະ — ດັກວິໂຄຣ໌ເບດີ ດາກເກົ່ານີນາສ —
ຕັດຕະຫຼືລີລືລ, ທີ່ ດັກວິໂຄຣ໌ເບດີ ສິຍົງວາຮົງລື
ວົງນິດຕາວ. ດີກວິວ ໄຕທົມີສ ຕ້ອມຕົກອົບສ ບົງເຕ-
ເຊ ຖີ່ເກີມີນຶກເບດີ ສິຍົງວາຮົງລືລ ສິນຳນົກແ-
ວິໄລຍງ່າ ຂີ ຕ້ອມມັນສົງເລົາລົງທີ່ຕານ ມີມາຮຕ-
ດັກສີ ມອນນີ້ມີນົງ ດັກມານີນ ຕາງວິສ ມີສົງວາສ ສ
ກີ ຢັ ກົມີນີນ, ລົກສ ດັກງວິໂຄຣ໌ເບດີ ດັກງວິໂຄຣ໌ເບດີ
(ແດນັກ, ດັກງວິໂຄຣ໌ເບດີ ແລະ ຢັ ມີສ ຮິມດັງ-
ນີ, ຮົນມີເລືດຕາໃຜ ດັກຮົນບູນຮົງ).

მოხდენილადაა შენიდბული „მითოლოგიით“ წარმართული რელიგიის იგავები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წარმართობის რესტავრაციის პროცესში, რომელიც დღეს აქტიურად მიმდინარეობს, მნერლებსაც მიუძღვით თავიანთი წვლილი (ბოკაჩის, ჯონის, ნაბოყოფს...), რომელიც რატომძაც თავგამოდებით ცდილობენ თავიანთ ნაწარმოებში წარმართ ღმერთებს ოდესძაც დაკარგული ფუნქციები დაუბრუნონ. ბოკაჩის „დეკამერონში“ ამური ცოცხალი ღმერთია, რომელსაც შეყვარებულები შემწეობას ოხოვენ; „ულისეს“ ფურცლებზე გამუდმებით იძალებიან და კვდებიან წარმართული ღვთაებები. წინამორბედებს არც ნაბოყოფი ჩამორჩება, მის შემოქმედებაშიც რეალურ არსებებად არიან წარმოჩენილები ნიმფები, ფავნუსები, პანი, ელფები, რომელთაც „მზერის დატყპობისა და მონუსხვის“ ფუნქციები აკისრიათ. ლეგენდა ლილიოზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის ხერხემალი. რა თქმა უნდა, არავინა წინააღმდეგი მითოსამყაროში ჩაღრმავების, მთ უმეტეს ჰომეროსის წაკითხვის, რომელიც დღესაც გოლიათივით დგას თანამედროვე ლილიპუტი მნერლების გარეშემოცვაში. დასანანი ისაა, რომ ზოგიერთი თანამედროვე შემოქმედი სწორედ ჰომეროსისეული რაინდული ფასეულობების პაროდიებას ეწევა ქამიტური სოდომ-გომორული წარმართობის რესტავრაციის ფონზე. ასეთი მნერლებისთვის უცხოა ოდისევისისეული სიყვარული სამშობლოსადმი, პენელოპეს ერთგულება... მათგის, კნუტ ჰამსუნის თვითმკვლელი პერსონაჟ ნილსენ ნაგელისა არ იყოს, სინათლე ქვესკენელშია და არა ზეცაში...

ალბათ, სწორედ ამ ახალი ეპოქის სულისკვეთების გაზიარებამ და „დიდი დუბლინელის ორმონდული შედევრით“ — („ულისეთი“) — აღტაცებამ გააძლინა ნაბოკოვს თავისი ლოლიტა ბეატრიჩეს-თვის შეედარებინა, ამ რომანის რუსული გამოცემის დანართში კი „უბადრუები“ ეწოდებინა ფოლანდერისა და სარტრისთვის; ხოლო ჰემინგუეისთვის — „გემინგვეი“ და „მაინრიდის თანამედროვე მოადგილე“. ასევე, თავის ლეკციებში რუსულ ლიტერატურაზე, დაცინვით მოეხსენიებინა დოსტოევსკი (ვითომდაც „ცრუ სენტიმენტალობის“ გამო) და ემე-გორბა სელინჯერის ყველაზე ულმობელ კრიტიკოსთან მერი მაკარონისთან...

დაახ, ასეთი იყო ახალი ეპოქის სული, ნაბოკოვი კი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ რევოლუციური დროების ერთ-ერთ მედროშედ.

უკოცელი

შენ ისეთი ხარ — ვინ არ შეგხედავს
ეგეთ საშეს და მჩინარს ეგეთად!
სურნელს ედრები სიოს ნასალებს,
შენში სიშიშვლის ნდომა ცახცახებს
და კაბის კალთა გითრთის ფეხებთან...
შემოდგომა რომ შეხვდეს გაზაფხულს,
სწორედ ისეა ჩვენი შეხვედრა... —

შენ პატარა ხარ, მე კი — ასი წლის
და მაინც, თითქოს, ბედი გზას იცვლის...
შენ სიჩუმთაც ჰეგვარ უკოცნელს...
ნეტავი იმას, ვისაც უბოქებ
სილამაზის და ვნების კლასიციზმს...
ან — ცრემლს დააწვიმ ვისაც კუბოზე
ამბებისა და სიმამაცისთვის!..

პილა ცრემლი

ვწვიმ და ვფიქრობ: „ნატერის საბან ღრუბლის ფთილასაც
რომ არ ვიტოვებ ჩერში და ამაოდ ვწვიმ,
მოდი, ქილაში მივაგროვებ — იქნებ გავყიდო,
აკი ჩემ ცრემლებს სურნელი აქვთ გადასარევი,
სურნელი იის, სურნელი ვარდის
და სხვა ძვირფას კუვალებისა!“ —
ვთქვი და დავიწყე შეგროვება ჩემი ცრემლების,
ქილა მალევე გავაპიპინე
და მოეხუფე პლასტმასის ხუფით
და გასაყიდად მიმაქეს ბაზარში,
მივალ და ფიქრში თავს ვეუბნები:
„გავყიდი ამას და იმ ფულით ღიმილს ვიყიდი,
შინ წამოვიყვან და გამოვზრდი ყვინჩილასავით
და მამალივით რომ იქცევა, ანუ — სიცილად,
მასაც გავყიდი და იმ ფულით იმედს ვიყიდი
და, როგორც ბატკას, მოუკლი, გავზრდი
და, ყოჩივით რომ გადიქცევა, მასაც გავყიდი,
და იმ ფულით ვიყიდი სიმხნეს,
წამოვიყვან და ხბოსავით გავზრდი
და, ხარვით რომ გახდება,
მასაც გავყიდი და ვიყიდი ნანატრ სიხარულს,
წამოვიყვან და ზაქივით გავზრდი
და, კამერიგით როცა გახდება,
მასაც წავიყვან და გავყიდი
და იმ ფულით ვიყიდი ბედნიერებას
და შინ კვიცივით წამოვიყვან,
მოუკლი, გავზრდი და გავხდება...“ —
ამ დროს ფიქრი ავტობუსმბ შემაწყვეტინა —
გაჩერებასთან მიესულვარ, თურმე,
და ავტობუსზე რომ ავედი,
მგზავრი ძალიან ძევრი იყო,
ვილაც ჩემ ქილას დაჯახა
ქილა ხელიდან გამივიწოდა და გატყდა, ღმერთო!
და ავტობუსის იატაკზე დაიღვარა ჩემი ცრემლები
და აუვიდა სურნელება იის და ვარდის
და სხვა ძვირფას კუვალებისა
და მგზავრები გადაირივნენ:
„ეს რა საამო სურნელია,
ალბათ ვიღაცას სუნამო დაეღვარაო!“
„სუნამო არ!.. ცრემლებია... ჩემი ცრემლები,
ქილით მიმინდა გასაყიდად,
გამივარდა და გამიტყდა-მეოქე!“ —
ვთქვი და ქალები, გოგოები მოდიან ჩემეკ
და ცრემლს მთხოვს ყველა:
„რაან ყდიდი, ჩემი ვიყიდით,
შენ იტირე და ჩამოვისხო!“ —
— როგორ ვიტირო ახლა, როცა არ მეტირება?! —
ეს იყო ჩემ მოკლე პასუხი,
მათ კი პეშები უმაღვე გაყვეს შუაში
და: „მაშინ გცემთო!“ და დამიწყეს კიდევაც ცემა,
მე კი ხელს ქალებს რანაირად შევუბრუნებდი!
ხოლით იანი ალიურებს არ იმურებდნენ
ჩემ, ალერს ნატრულ, ყველიმალებისთვის
და მე ვტირდი, მარია ჩემ ცრემლებს
ალარ პერნდათ სურნელება იის და ვარდის
და სხვა ძვირფას კუვალებისა,
მაშინ სულ მთლად გადაირივნენ:
— გვატყუებდიო? — და ჩამაგდეს ავტობუსიდან,
მე კი, ვიღებ და ყვითელ ავტობუსს —
ფოთოლურენი მფრინავ ხალიჩას,
აცრემლებული მივსძახდი:
— არა! არა! არ გატყუებდიო! —
ჩემ ცრემლს აუდის სურნელება ყვავილებისა,
როცა ვტირივარ მე სიყვარულზე...“

ქარევათა

არ მიზიდავს ზემდგომთა ფლაგმანები.
მარტობის ნავებს უფრო ვუთვრები...
ყვავილები გზისპირზე მაქანობენ,
ყვავილები ბანაობენ ფუტკრები.

ფუტკრებს ვივა! ოქრომ და ანდამატმა
დღევანდლამდე ვინც აბოლა — ის ბოლოს!
მე კი ვიცი რა გზასაც ვადგავარ და
საით მივალ, ან ვინ მელის გზის ბოლოს.

მე — ქარქვეტას, ქარისგან ნაბურთავებს,
რა შემიცვლის უბედობას ამოდენს!

ლიტერატურული გაზეთი

ბათუ დანელია

ARTცლები



ეს ცხოვრება ვერაფრით მახურდავებს —
დაუშლელი კუპიური გამოვდექ...

ორაული

რატომლაც როგორლაც უნიგნოდ, ურვეულოდ,
უკალმოდ, უფულოდ დამირჩა ორეული
და, იმის შემყურეს, ცრემლი მაქვს მორეული,
მგონია — თაროდან დასცინის ორეული
და სულ-გულს მისხამავს სირცხვილის მორიელი.

უერად გონს მოველ: არ ვდგავარ არავისთან.
ფულიც მაქვს, ნიგნებიც, ქადალდიც, კალამიცა,
მაგრამ ვგრძნობ რაღაცა უცივეს ვარამისდარ
სიმძიმეს და თითქოს ერთდება ცა და მინა —
თურმე მე — მე რომ ვარ, ეს სულაც დამავინყდა.

საყვარელი პროსპექტი

რუსთველზე ვსეირნობ ყოველდღე თითქმის,
აქვე ვარ მძებნელი საჭირო რითმის...

მე ახლაც აქ ვარ და ვარწყულებ გრძნობებს.
ხეებიც, სეამებიც, ჩიტებიც მცნობენ.

ერთ ხეზე ისევე ის „ტრიო“ გალობს.
მე ვწუხვარ: ვერ ვხედავ ჩემ ნაცნობ ქალებს —

ჭორთა მთავარსარდლებს...
ხომ არ დაორსულდნენ!

მათი გათხოვება
მე არ გამიგია.
ხისქეშ — მათხოვრები.
ხეზე — „სამი გია“

გვერდიგვერდ დამჯდარა და ტებილად გალობს.
მე ვწუხვარ: ვერ ვხედავ ჩემ ნაცნობ ქალებს...

გიშივარ

გუშინაც, სარკიდან გადმოველ როგორც კი,
ვირნმუნე — იქ დარჩა მდევარი ირმოცი...
და დღეს რომ დამკბნა კენტობის ყიუინმა,
უმაღვე მიგვცედი, რომ გიჟივარ.
აბა ცად გაფრენ, ვის უნდა გიჟისმეტს —
ტყვიასებრ გავარდნა სიმისკენ?!
ან თუნდაც, დამე რომ თავის თავს გაათევს,
ვის უნდა — ნამები ცეიონდეთ სათავეს?!
საათის კეთებაც, არათუ ქვიშისგან,
ცვრისგანაც ვიცი და — მაგარ გიჟივარ.
ფელინის გივით, ავდივარ ხეზედაც,
რატომო?! რატომ და ჩემს ადგილს ვებძალა...
საერთოდ იცოდეთ: ჩემსავით გიჟები.
კუთხილის ადგილის საქონად ვაშებით...
და ჩემითვის სიცოცხლე საგივე როდია!
მევდრებიც კი — საფლავის მინიან-ლორინ
დავდოვართ და ვიცამ ჩემ ნაცნობებს...
და ჩემი სიციური თქვენ სისხლი გაგიძრეთ,
რადგან თქვენ სიძეველეს ასალებთ დღეისად...
არდა, კეისრის ხომ მისცეს კეისარს!
ხოლო თქვენ პანგის თუ ლენის ისესის
ერთ გიჟსაც — გიჟისა არასდროს მიეცით...
ამიტომ ვერასდორს ვისრულებთ ნაჟინებს,
თუმც ვერვინ ვერვევა და ვერვინ ვეაშინებს...
მე და, დროის ჭადრაკებიც, სიკვდილის ქაში ვერ
მარტოხოს და ამითაც ვხვდები, რომ გიჟივარ:
ხან მინდა გადვიქცე სიმორის ნაჭერად,
ხან — გზეზე მინდება მანქნებს დაჭერა,
ხან — ცრემლის ჩაის ვსვამ, დარდებად დევნითილი,
ხან — ნისლებს ვიცვამ და დავდოვარ დენდივით,
თქვენ მანიც კითხოვთ: რატომ და რატომ...
რატომ და გიჟივარ, ბატონი!

ადამიანური დალატი

ცოლს ირთავს ჩემი მეგობარი...
აპოლინერი

გამოდი კარში, ჩემო მარტომბავ,
ნახე, რა დღეა, რ მზე ანათებს,
როგორ ჰყვავარ სები და ვარდ-ყვავილები —
სველანი ჩემი ძეგლების შემოგვიარების
გამო არიან აღტაცებული,
შენ კი, რა მოგდის, ცხვირი რატომ ჩამოგიშვია?!

გამოდი კარში, ჩემო მარტომბავ,
გამოიყოლე გამოლილი ჩემი დღეები,
გატარებული შენთან, როგორც
პატარძალთან პირველი ღამე!

დილდილაობით, ზოგჯერ, ზედმეტსაფუარიან
ცომივითა ხარ გაფულებული
და სამ ითაბში ვედარ ეტევი
და კარში გასვლას ისე ვჩეარობ,
რომ ბინა კარ ზედ საწოლთან მინდა ეკიდოს...

თუკი იკითხეს, მარტომბა რა ფერიაო,
ჩემ გარდა ვერვინ უპასუხებს,
რადგანაც მე შენ
განბანილი მყავხარ ცრემლებით...
შენ ჩემთვის ისე კარგი იყავი,
როგორც ასმათი ტარიელისთვის...

მაგრამ გამოდი,
გამოდი კარში, ჩემო მარტომბავ
და თევშით დამხვდი სადარბაზოსთან —
ცოლს ირთავს შენი მეგობარი უერთგულესი.

უთოვლო ზავთარი

ემზარ კვიტაიშვილს

თოვლს და ბავშვობას რომ არ ეწყინოთ,
ახლაც ჩავდივარ სოფლად ზამთრობით...
მოგონებებით, თოვლზე მეტნილად,
არაფერია სულის გამრთობი.

ნელს კი ზამთარი მადამ-ბოგარობა...
აღარც კი ახსოეს თოვლი ბედოვლათს.
მინდოდა, დედის დანატოვარი,
ის სახლი ნელსაც გადამეტოვლა...

კუპური ფილი

ეს ჩემი გული — ბორცვი წითელბალახოვანი —
ჯერაც გულუხვად უმასპინძლდება
მარტომბის ცენებს ჩემგან გახედნილს,
რაც ე

იქ ისეთი უხმაურო სოფლებია,
შეიძლება ანგელოზის ხმაგაიგო! —
თქვა ქარმა და მიატოვა გრიგოლეთი
და წავიდა, როგორც ლალი რიგოლეტო...

მოდის გიორგობისთვის

მოდის გიორგობისთვის: ზღვარი დაიკარგება
სიმზვანის და სიყვითლის ნეიტრალურ ზეზონის...
და სიმზვანე, სირცებილი, ჩუმად აიპარგება
და დადგება სიყვითლის მოფარფატე სეზონი...

გახედნიან მოზვრებს და ის მოზვრები ვაშლისდარ
ცრემლებს რომ ჩამოლერიან — იგუჟებენ ტაბიკებს...
მხატვრებს დრო დაუდგებათ მოლერტების გაშლისდა
დაინუება ჯირითი ფერწერის და გრაფიკის...

ბაგშვებიც კი არაფრით დაამშევენ ფლომასტერს —
დახატავენ ძმაკაც ხეს, მელოტსა და მოტვლებილს.
ვიკლი ყვითელ თოვაში და ამ შემოდგომაზეც
ეზოები იქნება სასაფლაო ფოთლების.

გავშვილის სახლის ჭრიალი

ბაგშვების სახლის ჭრიალი — რეალურს არ ჰგავს,
თითქოს იხსენებს დროს, როცა უმრავ ნარგავს
ნარმალებიდა ტყები და... ამნარ ჭრიალს
ჭრიალს ვერ არქმევ, მას ბევრი სახელი ჰქვია.

ბაგშვების სახლის ჭრიალი ჭრიჭინის ჭრიჭინს
ჰგავს, თუმცა მსგავსი კვენები, გაუსნელ ერთით,
ამოსდის ენჩავარდნილს, როცა მექრდიდა
გულა უბორგას და უნდა ვინმე გვერდიდან

აღარ ამოშვების ჭრიალის სახლის, სულ მერვენა, რომ ერთი მერვენაში იქნებათ
და სწორედ ამიტომ, სწორედაც ამიტომ

ჩაგშვების, დედას და ბებიას ერთად
და სწორებან მასზე, რაზეც აქ გულმევდარი ვწერდა
ვეითხელობ ისე ჩუმად, რომ ვეღარ გაიგონ
და მაიმედებს სიჩუმე — ჩემი დაიკო...

ზოგჯერ მერვენა, ამ სახლის უცნაურ ჭრიალს,
რომ არ ვიტირო, ხსოვნაში ბურთივით მჩრიან...

ბაგშვების სახლის ჭრიალი ძევლი სიკეთით
ველარ ამაყობს, მაგრამ ის ველოსიპედის
უსაბურავ ბორბალთა ხმებაც გამოსცემს
და კიდევ იმ ხმებს, რომლებიც ჩემსას სამოსებს
აუდიოდათ მავთულზე მშრობლებს ქარშიდა
იმ ხმებაც, ზამთრის დამით რომ კვახის ხარშიდან
იბადებოდნენ ამ სახლში, რომლის ჭრიალი
თითქოს ძალიან გახდა და ძალზე მჭლე არი
და თავგის ხმასაც მაგონებს, ასევე ქვიჯის
და ქვასანაყის კრიფის ხმას — ამაზეც მიჭირს,
რომ ბაგშვების სახლი ჭრიალი შეცვლია უკვე
და ვესმენ ხმას და, თითქოსდა, მოსმენის ვულებ
კარდიოგრამას... და ძალზე არ მომწონს, რადგან,
თითქოს, შიშველი ფეხებით, თოვლ-ტყაბში ჩადგა...
და, რაც დრო გადის, თანდათან სრულიად სხვა ხმით
ჭრიალებს ჩემი ბაგშვების პატარა სახლი.

ისევ ადამიანის შესახებ

ვერ გამოსწორდა ადამიანი:
ხან ჩანს მიშვებულსადავიანი,
ხან — ურჩხულია ცხრათავიანი.
თუ მოისურვა — სიერთით გაანგბანს.
თუ მოესურვა — ნაგართმევს უანგბადს.
ზოგჯერ დრო ისე დაქლიავებს —
გონზე მოყვანა ვერ შეძლოს განგმაც...

ხან არაფერზე არ სწორს, არღელავს.
ხან უსივდება ღელვით ნაღველა...
ხან გადიქცევა ძმათა მდაღველად,
ხან — დროს ყველა კლავის აირევს
თავში და — მუსრავს თავისიარებს...
მერე დაჯდება ცალფეხ-ცალხელა
და წერს უაზრო დავის შაირებს...

რი შვილეული

1. ირონია ოცნებაზე

ხატვა არ ვიცი, უბრალოს ვეღარ ვაეტებ ჩანახატს.
ოცნებით ვმხატვრობ, იცნება თავის თავს თავზე მანაყავს.
ბევრი მავნონ და მანუნია ამ სინამდევილის ჩანახმა —
ხან დამინებლა გონება, ხან — გულისებზე დანაღმა...
არ მინდა აღარაფერი, იმაზეც კი ვარ თანახმა,
რომ ჩემი თავი, როდისმე, თუნდაც იცნებით მანახა
გადაქცეული ან კურბედ, ან, თუნდაც, უმცროს კრანახად!

2. ამაღების სამხილი

ეს საწუთო არაფრად არც ღირდა და არცა ღირს.
აქ, ხანდახან, გიგანებს უნაგირის ძარძაყიც —
შეიძლება აგაგდოს და დაგემსხვრეს ბარძაყი.
აქ მუდმივი არაა ღამაზიც და ფარსაგიც —
კარს იქით თუ ჯელობ, ბებერი ხარ კარსაქით...
შეიძლება ცოცხლობდე მევდარ გულით და მევდარ სახით,
თან ონორე გერებას და გვარად იყორის.

სხვა ხალხი

სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული.
გალაკტიონი

სხვა ხალხი მოვიდა, სრულიად სხვა ხალხი,
სხვანარი გაეგბით, სხვანარ მაღალ ხით,
სხვაგვარა და უსმენებ ლაპარაკს,
ასევე სწუხან და ხარობენ სხვაგვარად,
სხვაგვარი თვალებით გასცემერნ სიყრცეებს
და სხვაფერ დადიან! და სხვაფერ იცმევენ!
და სხვაფერ იგბენ ყოფნას და არყოფნას,
და სხვაფერ აქცევენ სიტყვებსაც — უარგონად
და სხვაფერ ისცრან მზრასაც ირიბულს,
ხოლო ჩვენ გვირნია, ისინი პირუკუ
შერებიან ყველაფერს, რასაც ჩვენ ვშერებოდით
და ჩვენთვის რაც ნიშნავს რევანშეს და ნეპოტიმზს,
მათ ღინებებს ეკოც და კეპოტიც
ვერ აცხრობს. ისინი ქარხნით და დეპოთი
არ იამაყებენ, მაგრამ მათ გამჯდარი
ექნებათ ძალ-რბილში სიბართლის ლაშქარი,
ნარელ გონებაც, და დიდი შეგნებაც,
მადლიც და გაძლებაც უზღვავი ექნებათ
და სწორედ ამიტომ, სწორედაც ამიტომ
ჩვენ, უნაყოფებს, ამაოდ ჰყვაიოთო,
გვეტყვიან ბერები ისინი უშენებელისდა
მილიონ იქროსთვის და არსად, არასდროს
მრუდედ არ გაზომავს ამათი თარაზო...
და, როგორც შრიალი ძველ ბალში ახალხის,
გარშემო ყოველგან იგრძნობა სხვა ხალხი.

დაკარგვის სურვილი ურთოლეცვენაში

ფოთოლცვენის ჯერიც დადგა
და ფოთლების ნიაღვარი
მოდის მინის ჭერიდან და
ვტკბები ყვითელ ნიაღარით...

ვდგავარ, ვგავარ მაღალ მოლბერტს,
მინებებულს თავის ნარკოზს...
მინდა გრძნობის ჭალად მოვყვე
ფოთლებქვემ და დავიკარგო...

საუბარი ქვასთან

საუბრობ ქვასთან. ქვის ენა რაღაცით კიგავს
სიჩუმეს, მაგრამ გესმის და გითრთოლებს ნიკაპს.
ჯიკავს გრძნობ გულზე, რომელიც ეკუთვნის ქვისხელს,
ოლონდაც კი არ უარგყოფს, მალამოს გიცხებს...
ქვის მეტს ვერავის განაღობ იღუმალს ოდნავ,
ქვას ძალუს ქვევა სიტყვიერ ყვავილთა ქრონად...
მოთქამ, ქვითონებ და მანც მოესმის არვის,
ქვის გარდა, ქვასაც აქს მადლი ტკივილთა ქართვის
ფარვის და... ქვასთან საუბრობ, გებულობ ზღვისდა
მდინარის დარდს და, გული რომ არ გექცეს ხისტად,
ვისთან ნახვიდე არ იცი, არავინ გიფენს
ფანძაზს, ქვა კი გერაბის — დაღალულს, მყიფეს,
მზიფე ვაშლია თითქოს, ან — ნექტარის პასტა...
ქვა შენს ნინაშე კი არ დევს, ძეგლივით დგასდა
ბასტა!

აათორითი ოცდამეორე საუკუნის დამდეგის

მე არ ვუყვარვარ ჩემ სამშობლოს
მას მხოლოდ ჩემი ძვლები უნდა
თავის სიბერეშპარულ თავის
გასამაგრებელ არმატურებად

მე არ ვუყვარვარ ჩემ სამშობლოს
და თუ პური ჩემთვის ჯერაც არ ენანება
მხოლოდ იმიტომ რომ ფიქრობს იქნებ
ბარიკადად გამომადგენს

მე არ ვუყვარვარ ჩემ სამშობლოს
თუმცა დღემდე ვარ მონამლული
პატროტიზმის ნებერმოქმედ სანამლავით და
მის ძლიერებას ისევე ველი

უსათურდ, უთურდ

უსათურდ, უთურდ — ან თოვს, ან წვიმს, ანქრის,
როცა მინდა მოძენა ქაღალდის და ფარერის.
უსათურდ, უთურდ, როცა წერას ვინებს,
ან — ძალინ სუსხია, ან — ძალინ სუცხე.
უსათურდ, უთურდ მაშინ ვინებს წერას,
როცა ვინძე მეტდურის, ან — მიყურებს ცერად...
პოეზია — მყიფეა — მოგვევლება გარსვერ,
ზოგჯერ — ქარი მოიტანს და გაპყვება ქარსვე.
უსათურდ, უთურდ გულს ვარამი ხაზაგს,
როცა ვყნოსაც ცრემლების და მელანის ნაზაგს,
აბა არაფრისათვის ვინ იძლევა ლექსებს! —
ან ცად უნდა დაფრენდე, ან — ვერ იდგე ფეხზე,
ან — მიჰეონდე ქარს, როგორც ზამთრისპირის ნეშო,
იყო ნაღალატევი, ანდა — უნუგეშმ.

უსათურდ, უნდა გკლან, ან გრიყონ,
უნდა სულიც გედგას და უნდა მკვდრიც იყო,
თორებ საზარელა — აწუხებდე ღმერთებს,
სული არა გტკიოდეს და ლექსს მაინც წერდე.

გორგის დღიურიდან

ვიღაცა მუჭაში ჩამიყრის მონეტებს,
მაგრამ ამ სისუსტეს როდემდე ვმონობდე!
ვერასდროს ვერ მივალ მე იმის დონემდე,
ვინც არის დონი და თან ჰქინია დონალდი...

ღიაა დუქანი, დავყურებ სალათებს —
უფულოდ მსროლელი არა სალუტიც...
ღიაა სალუდეც, იგივე სალოთე.<

დასასრული

შორიდან იწყებს...

პაციენტების მიღება ახალი დასრულებული პერიოდისა, ექთან გოგოს რომ შემოულია კარი და უთქვამს, მარჯანიშვილის თეატრი ჩამოდის ჩვენთან. ჩვენთან სადა, გოგოო, უკითხავს, ჰერი ბია, სოფელში ჩამოჰყავთ და გაკვირვებისგან თვალები გადიდებია. სოფლის კლუბში არ შეისვლებოდა თურმე, ისე იყო გავერანებული იქაურობა იატაკიან-ჭერიან-კედლებიანა. ექთანს გაცინებია და უთქვამს, აქ არა, კლარა ექიმი, რაიონში უნდა გამართონ წარმოდგენებიო (რაიონი რაიონულ ცენტრს ნიშანვდა, პატარა ქალაქს, ან დაბას). მისულა თუ არა შინ, ქმრისთვის მიუხარებია ეს ამბავი და უთხოვია, იქნებ გვეშოვნა ბილეთები და წაგასულიყავითო. ბევრჯერ გამეორება არ დასჭირვებია, არც იმის შეხსენება, რომ გათხოვებისა და სოფელში გადმობარებების შემდეგ ერთხელაც არ იყო ნამყოფი თეატრში. პირველ წარმოდგენაზე ვერ მოხვედრილან და მეორეზე ნასულან. დაუტოვებიათ შეიღები — ორი, უკვე წამოზრდილი ბიჭი მეზობელთან, კახეთში ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ მარტოხელა, ყოჩალ ქალთან და გაპყოლიან ავტობუსს „რაიონისკენ“. „კულტურის სახლში“ ტევა არ ყოფილა, დარბაზში „ძალაშეს წერ ეს ასაკის მდგარა, ხოლო ფოიეში — მასტიკისა და ნახერხის. წინა დღის გან განსხვავებით, როცა მაყურებელი ნახევარ საათზე მეტხანს ელლებოდოდა „ადგილობრივი ხელმძღვანელობის“ მობრანებას, სპექტაკლი დროულად, ზუსტად რვა საათზე დაწყებულა. გადაწყეულა ფარდა და შედგომიან მსახიობები საქმეს. თან როგორი მსახიობები — უმეტესობას კინოფილმებიდანაც რომ იცნობდნენ, ისეთებია...“

ერთ პატარა, მიყრუებულ დასახლებაში მომზდარ ამბავზე ყოფილა პიესა. დასახლება იმდენად შორეული და უმნიშვნელო გახლდათ თურმე, რომ მის სარკინიგზო სადგურზე ეგრეთ წოდებული „ჩქარი“ მატარებლები არც კი ჩერდებოდნენ. ერთხელ გაჩერებულა შემადგენლობა, ისიც შემთხვევით, და ამას მოჰყოლია ამბავი, რომელსაც გვარინად აუმღვრევია პროვინციული ცხოვრების ერთფეროვანი, ულიმლამო და მდორე დინება. დედაქალაქისკენ მიმავალი ექსპრესიდან ქალი ჩამოუსვამთ უბილეთობის გამო — ახალგაზრდა, მოდურად გამოპრანჭული ლამაზმანი. უკიდურესად ალელვებულს, ლამის სასონარკვეთილს ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებელი გადაპყრია პერიონზე. ახალგაზრდა კაცს დახმარება შეუთავაზება მისითვის და ღამის გასათვად შინ წაუყვანია. მდიდართა და უდარდელთა სამყაროდან სრულიად მოულოდნელად მოვლენილ არსებს დიდი ინტერესი გამოუმჟღავნებია უცხო და ურვეულო გარემოს მიმართ. მოსწონებია კოპნიანის სახლი აივანზე პირსაბანითა და სხვენზე ტელესკოპით. თვალში მოსვლია ცოტა მორცხვი, ცოტა დაბწეული მასპინძელი, რომელსაც ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მის მიერ ალმოჩენილი უსახელო მნათობი უჩევენებია. ახალგაზრდა კაცისთვისაც დაუხვევია თავბრუ ქალის ფრთხიალს, გაჯერებულს ფრანგული ნელსაცხებლების სურნელებითა და ჰაეროვანი კაბის კალთების შრიალით. მითქმა-მოთქმა მეორე დილიდანვე დაწყებულა. ვინ აღარ ალაპარაკებულა, ვის რა ვარაუდი აღარ გამოუთქვამს. ყველაზე მონადინებულები გამნაზისტი გოგონები, ჰედაგოგიურ გამოცდილებით დამზიმებული ქალბატონები, რეინგზის სადგურისა და ფოსტის მოხელეები ყოფილან. გამორჩეულად გაბედულები და ცნობისმოყვარები შინაც სწევებიან ასტრონომიის მასწავლებელს, რათა საკუთარი თვალით ენილათ მათ მხარეში შემოფრენილი „უცხო ჩიტი“ და დარწმუნებულიყვანენ ყურმოკრული ჭორებისა და ვარაუდების მართებულობაში. ორ ადამიანს შორის ალმოცენებულ ურთიერთობას მომწონებლებიც გამოსჩენია და დამწუნებლებიც. ამასობაში კი, „უცხო ჩიტს“ მასწავლებელთან დარჩენა და პროვინციაში ცხოვრება გადაუწყვეტია. წარმოუდგენა კიდეც, როგორ ამოუდგებოდა გვერდში, როგორ შეუმსუბუქებდა ყოფას დიდი ალმოჩენებსთვის დაბადებულ ადამიანს. ამ გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულ კაცს უსახელო ვარსკვლავისთვის მისი სახ-

ელი დაურქმევია... თუმცა, წყვილის იდიოლ-ია დიდხანს არ გავრძელებულა. მომხდარია ის, რაც უნდა მომხდარიყო — ლამაზმან-ისთვის დედაქალაქიდან ჩამოუკითხავთ და მისი რომანტიკული მონოლოგის მოს-მენის შემდეგ, დინჯად და დამაჯერებლად განუმარტავთ, რატომ ვერ შექმნებდა ცხ-ოვრების ნირის შეცვლას და თუ მაინც შე-ეცდებოდა, რას დაამსგავსებდა სოფლური ყოფა მოკლე ხანში. სურათებს სავარაუდო მომავლიდან ჯერ დაუუჭვებია და შეუყოყ-მანებია, მერე საგონებელში ჩაუგდია, ბო-ლოს კი, დაუფრთხია ქალი. თავდაყირა დამდგარა მისი წარმოდგენები, ცრებ-ლებით ავსებია თვალები, ატირებულა, სა-ცოდავად მობუზულს სლუკუნით წარ-მოუთქვამს მობონდიშებისა და გამომშვი-დობების მსგავსი სიტყვები და მორჩილად გაჰყოლია დედაქალაქიდან ჩამოსულ თმა-გადასლექილ, ნვრილულვაშიან, კუბოკ-რულ პიჯაპში გამოწყობილ ფრანტს...

„საბჭოთა ქალი“ ეთვალიერებინა, ანდა ემილ ზოლას „ქალთა ბედნიერება“ ეკითხას საორდინაციოროში მჯდომას გაუთავებლად ესმინა ახალგაზრდა ეგრეთ წოდებული „პერსპექტიული“ ასისტენტების კომპლი- მენტები და ოხუნჯობები, თუ შორეულ სა- ძოვრებსა და ფერმებში კვირაობით გადა- კარგული მეუღლისთვის მონაცრებული, სასურველი სითბო დახმარებინა ოჯახ- ში...

სანგრძლივი ტაშით დაუჯილდებათ
მსახიობები, ოთხჯერ, თუ ხუთჯერ
გამოიყენანიათ დახურული ფარდის წინ
თავის დასაკრავად. „კულტურის სახლ-
იდან“ როდის-როდის გამოტეულებს სოფ-
ლისაკენ მიმავალი ბოლო ავტობუსი წასუ-
ლი დახვედრიათ. კიდევ კარგი, საბარემ-
ანქნა გამოჩენილა საჭესთან წაცნობი-
მდლოლით. ჩეგნ კარგ დასტაქრებს რამეზე
როგორ დავზარდებიო, უთქვამს იმ ღვთის-
ნიერ კაცს და კაბინის კარი გამოულია

ზაალ სამადაშვილი



პლანა ექიმი

სპეცტაკლის ფინალურ სცენას ძალიან უმოქმედია — გული აჩუყებია, შებრალებია ქალი, რომელიც, მისი აზრით, ცოტა ხნის წინ ჩასახულ გრძნობას თრგუნავდა, საკუთარ მომავალს ეპრძოდა, უარს ამბობდა ახალ ცხოვრებაზე... უბრუნდებოდა იმას, რასაც სიყალბით აღსავსედ და ფუჭად ჩავლილად მიიჩნევდა პროვინციელი მასწავლებლის შეყვარებისთანავე, მის გვერდით ყოფნისას, მასთან ერთად ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კაბაფონის ჭვრეტისა... გახსნებია ის მომენტი, როცა თავადაც მსგავსი არჩევანის წინაშე დამდგარა, დღე, როცა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეწყვიტა, სად და, რაც მთავარია, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება — გადაკარგულ სოფელში ვეტერინარად გამწერებულ საყვარელ კაცთან ერთად, თუ მობლიურ ქალაქში ოჯახის წევრების ზრუნვით გარემოცულს, მეტაკლებად დაზღვეულს მოსალოდნელი სიძნელეებისგან; პატარა, მოუწყობელ ამბულატორიაში მარტოდმარტოს, საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების ანაბარა დარჩენილს ემკურნალა პაციენტების ისთვის, თუ გახამებულ თეთრ ხალათში გამოწევილსა და კისერზე ფონენდოსკოპამოკიდებულს დიდი, პრიალა კლინიკის პალატებში ევლო რომელიმე ცნობილი პროფესორის ამაღასთან ერთად, თანმხები პირის სტატუსით; საღამობით, შინდაბრუნებულს არად ჩაეგდო დაღლილობა, თავიდან მხოლოდ ქმრისთვის, შემდეგ კი შეილებისთვისაც — საჭმელი მოემზადებინა, დასარეცხი დაერცხა, დასაუთოებელი დაეუთოებინ, დასაკემსი დაეკემსა, თუ ამგვარი ვალდებულებებისაგან თავის-უფალს, სხვა რამებით დაეკავებინა თავი და სავარძელში მოკალათებულს ჟურნალი

ქალი მძღოლის გვერდით დაუსვამს ქმარს ტვითონ კი, ზევით ასულა, იარაზე. ცივებ
ქარი უბერავდა თურმე, ძვალსა და რბილ-
ში ატანდა ზამთრისპირის თოში. კილვე
კარგი, რომ სოფლამდე დიდი გზაა არ ედოოთ
თორებე გაციება არ ასცდებოდა ძარაზე
მდგომს, რომელსაც არც ჰუდის დახურვა
ჰყენარებისა და არც ყელის შეფუთვნა
ობითი შესრულება “

ჩანაწერი ათას ცხრაას სამოცდათხუთ-
მეტი წლის დეკემბრის თვით არის დათარ-
ილებული. იმ დროს მათემატიკის
ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ჩემი ლიტე-
რატურული საქმიანობა წიგნების კითხ-
ვით და დღიურების წარმოებით შემო-
ფარგლებოდა. მოთხოვების წერა მოგვი-
ანებით დავიწყე, რცდაათი წლისა რომ
გავხდი — მერე. დღიურები ძალიან გამო-
მადგა. ზოგიერთი ამბავი, ვთარებებისა
და შთაბეჭდილებების აღწერა მცირედდე
ნი ხელის შევლების შემდეგ ლიტერატუ-
რულ ტექსტად იქცა და მკითხველის
წინაშე წარდგა. მათარებელში მოსმენილ
ისტორიას მსგავსი რამარ განუცდია, მისი
მთხოვებელი ნოველის პერსონაჟად არ
გარდაქმნილა; თუმცა, რამდენიმე დეტა-
ლი, ჩემთვის შეუმჩნევლად, სხვადასხვა
მონათხოვებში გაიფართქო, რასაც მხოლოდ
ახლა, ძველისძველი, ზამბარით აკინძული
ბლოკონტის კითხვისას მივხვდი. ერთან
ზუსტად ასეთი „საერთო“ ვაგონი მაქსი-
ალნერილი; მეორე ადგილას იმ ბიჭებზე
ვყვები, რომლებიც მატარებელში შარის
საძებნელად ადან; სხვაგან „კულტურის
სახლის“ ფოიეს ვახსენებ, სადაც მასტიკით
მოპრიალებულ იატაკზე წახერხი ყრია,
ხოლო კედლებზე ცნობილი კინომსახ-

შეკითხვები რომ არა, დარჩებოდა ეს ჩანაცერები ჩანაცერად, სტრიქონი არ დაემატებოდა. პირველი შეკითხვა — რატომ ჰყვება ქალი იდილიურთან მიახლოებულ ამბავს — იმ მკითხველისაა, ვისაც შელამზებული ჰგონია ყველა ტექსტი, სადაც რაიმე თავზარდამცემი არ ხდება, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანის ფარული ბუნება მხოლოდ მავნე ჩვევებისა და მიღრეკილებებისგან შედგება, ვისთვისაც გულწრფელობა თავზე ნაცრის წაყრასთან, თვითგვემასთან არის გაიგივებული. მეორე შეკითხვა — ქალი პირველად ჰყვება ამ ამბავს, თუ მესამედ ან მეათედ — ჩვეულებრივ, დაკვირვებულ მკითხველს ეკუთვნის და ვფიქრობ, რომ მასზე პასუხის გაცემით პირველ შეკითხვასაც ვპასუხობთ...

* *

ոմիս დადგენა, პირველաდ ჰყვება თუ არა ამბავს, შეუძლებელია. ძნელია იმის თქმაც, რომ ხօნირად იქცევა ასე. მხოლოდ ვარაუდების გამოთქმაა შესაძლებელი. ვარაუდებს თუ გაყვეპით, დიდი ალბა-თობით გადავაწყდებით იმას, რაც არაერთხელ მომხდარა სხვათა ცხოვრება-ში. კერძოდ — კაცის გატლანქებას, უარესობისკენ შეცვლას. ქალის მიერ იმის დანახვას, როგორ ეგუება მისი მეუღლე საყოველთაო სიყალეს და როგორ გარდაისახება „ცხოვრების დასტაქარი“ „მეცხოველეობის დარგის მუშაკად“; როგორ ჩნდება მის ლექსიკონში „ახალი“ სიტყვები და მიმართვის „ახალი“ ფორმები, რომელთა შორის ყველაზე მძიმედ მოსასმენი როყიოდ წამოსროლით „ქალი“-ა; როგორ თვრება ხშირად და ტრაგაბობს ისეთი „მიღწევებით“, რომლებიც ცოტა ხნის წინ ღილილს იწვევდნენ მასში. ქალი ითრგუნება, შუქი უქრება თვალებში. ყველა ატყობს დადარდიანებას. გამოკითხვასაც უწყებენ მიზეზების დასადგენად, მაგრამ კრინტს ვერ აძვრევინებენ. როგორც კი მარტო რჩება თუ შინ და თუ გარეთ, ტირილი უვარდება. ყველაზე დიდხანს და გულამისკვნით ლამ-ლამბით ტირის, ბავშვები რომ დაიძინებენ, მერე...

თუ ისე დიდი ხნის შემდეგ უცნაური რამეც
ხდება; ერთ-ერთ, სხვებთან შედარებით
უფრო მკაფიოდ შემონახულ მოგ-
ონებასთან რამდენჯერმე მიღრუნება
ცრემლის შეშრობაში ეხმარება და აწყე-
ბინებს ფიქრს იმაზე, რომ დანენების, ხე-
ლის ჩაქრევის შემთხვევაში ამ და კიდევ
სხვა სურათებს გაქრობა ემუქრებათ; რომ
მათი შენარჩუნებით მომავალ ბედნიერ
ნუთებს გადაარჩენს; რომ ასტრონომიის
მასწავლებლისა და ქარათშუტა ლამაზმა-
ნის დღემოკლე, უილბლო სიყარულის მიბ-
მა თხუთმეტი წლის წინ მიღებულ გადან-
ყვეტილებასთან, მხენებას სძენს, საკუთარ
უპირატესობაში არწმუნებს არამარტო
ერთი, კონკრეტული ქალის, არამედ
ზოგადად — სუსტი, უნებისყოფო ადამი-
ანების მიმართ; ახსენებს, რომ ცხოვრება
დაბრკოლებების გადალახვის, გან-
საცდელებათ გამკლავების ერთი გრძე-
ლი ჯაჭვია; ამ ჯაჭვის ურლვევობის შენარ-
ჩუნება და ამისათვის მისი ერთ-ერთი რგ-
ოლის გაცოცხლება უნდება, მისი დალაგე-
ბა სურათებად, რომლებსაც სხვებიც დაინ-
ახავენ; ერთადერთი გზა ამის მისაღწევად
— მოყოლაა. ჰოდა, ისიც ჰყვება. შეიძლე-
ბა ერთხელ, შეიძლება ცხრაჯერ, ან
ათჯერ...

თუმცა დაბეჭითებით უნდა ითქვას, რომ პირებულივები მოყოლის შემდეგ შინიდან გამოსულ და ამბულატორიისკენ მიმავალ კლარა ექიმს დარღის ნასახსაც ვერ შეატყობის ვერავინ — მეტიც, წინანდელზე უფრო კოხტად გამოწყობილს და შემართებულს დაინახავს ყველა.

მუსის ტრიოლეტი

პოეტის ნათელ ხსოვნას

ამ სამყაროში შავი ფერი უფრო მეტია.
მე წავალ, მაგრამ „მუსა კვლავაც შეიმოსება“.
ავხედე მზეს და... რაღაც ძალით მეც ამეტირა —
ამ სამყაროში შავი ფერი უფრო მეტია.
რამაც დამბადა და რაც მომკლავს, ნუთუ ერთია?!
ის ჩემი მოსულით, ჩემი წასულით არ გაოცდება...
ამ სამყაროში შავი ფერი უფრო მეტია.
მე ისევ მოვალ, მუსა კვლავაც შეიმოსება.

გამოთხოვება...

მზიას!

ხომ ასე მატებე, მატებე, მანამე,
მატებე, მე მაინც შეზებული ვდრაზდები,
ხომ შენთან ვიყავ, არსად არ წაველ,
როგორ დამტოვე ასე ავხორცი?!

სად არის ჩემი შმაგი აზრები?!

ჩემი ვერებები სათ აღხოცე?

სად არის ცეცხლი ჩემი აღმგზნები?!

როგორ წახვედი, რომ არ მაკოცე!

აპ, შენ სხვაგვარად გრძნობ და აზროვნებ,
და ჩემი წლებიც სადღაც ჩახოცე...
მშვიდობით, ჩემო ახალგაზრდობავა...
გამოთხოვება... და... ცხვირსახოცი!

გახეგა და იღვალი

ისტორიოსნო, კაცთა ბედი ღმერთებს მიანდეთ!
იყო პერიკლე, კეისარი, იყო რამზესი...
აუსტერლიცთან ბონაპარტი იყო დიადი,
ვატერლუსთან კი — ყველა სხვაზე ულამაზესი!

სილამაზის უკვდავება

სილამაზის მსახურება მინდა,
ჩემი წილი სილამაზის შექმნა...
ბედისნერა მაკვირდება ციდან,
ჩემში სულს და სიყვარულს რომ შეხვდა.

სილამაზის ცრემლიანმა გემმა
მტკიცან სულში ჩამოუშვა ღუზა,
სახეს მიმკობს სტიგმა — ნაღლის გემმა...
დავილალე, დავიღალე, მუზა.

სულ მწვავს კითხვა: „შეძლება თუ არ
ბედისა და ბედისნერის შეცვლა“?
ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს უარს,
იმდეს არ ვთმობ — იქნება და, შეცდა?

ცაში დილით ცისარტყელა ვნახე...
და ძველ შრამზე აკიაფდა ცრემლი,
მე ცხოვრება სულ მიგებდა მახეს
და ხარობდა ჩემი ტანჯვის ცქრით.

ჩემი ტკბილო, სულზე ტკბილო მუზა,
ვიცი: უნდა ვიყო მადლობელი,
ქანცი გამწყდა, ცეცხლი წვეთავს გულზე,
ცეცხლი იგი, ჩვენგან მადლს რომ ელის.

